საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1500
02/03/2026

1500-01-2-202603021756

ხატია კაკულიას
მის:
ელ-ფოსტა:

ქალბატონო ხატია,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) შემოსულია თქვენი, 2026 წლის 4 თებერვლის №01/1104 განცხადება, მოვაჭრის - შპს „უნიკომის“ (ს/ნ 412673879) (შემდგომში-მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-6 ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია საქმის შესწავლის დაწყების მიზანშეწონილობის განხილვის პროცესში მოპასუხე მხარისგან გამოითხოვოს შესაბამისი პოზიცია. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის დინება ჩერდება საქმესთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის ან/და სააგენტოს მიერ ექსპერტიზის დანიშვნის შემთხვევაში. ასევე, პროცედურის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს ფიზიკური ან/და იურიდიული პირისგან გამოითხოვოს საქმის შესწავლისათვის საჭირო დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, საგადასახადო, საბანკო, კომერციული, პროფესიული საიდუმლოებების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

აქვე განგიმარტავთ, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოვაჭრეს ეკისრება. თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის შემდეგ აღმოაჩინა, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელს ეკისრება.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 16 თებერვლის №01/1496 წერილით, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მოვაჭრემ სააგენტოში წარმოადგინა პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად მტკიცების ტვირთი მომხმარებელს ეკისრება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან **10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოთ მტკიცებულება (მაგალითად: ექსპერტიზის დასკვნა), რომლითაც დადასტურდება, რომ ნივთს გააჩნია თავდაპირველი ნაკლი.**

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა